

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მედანზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакціи газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შუტი.



გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 3 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა ამ წლის

„დროზდაზე“

ახლაც შეიძლება. ახალი ხელის-მომწერლები, თუ ისურვებენ, თავი-დამ მიიღებენ ყველა ამ წლის ნომერებს, რაც გამოსულა; შეიძლება აგრეთვე რომელიმე თვიდამ დაი-ბარონ გაზეთი.

დაწერილებითი პირობები გაზე-თის სათაურშია.

უმოკრძალოდ ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მოწერლებს, რომელთაც უარსაღებელი ანუ წლებ-ვანდელი გაზეთის ფული ჯერ არ უამოშტანიათ, რაც უამოკლ-ვა ვალე უამოკლანო.

სამართლებლო

ანგარიში

იმ სალიტერატურო და მუზიკალური საღ-მოსი, რომელიც წარსულს სამშაბათს, 24 აპრილს, იყო.

მაცხადებთ ამ ანგარიშს და ამას-თანავე ვისურვებთ, რომ ყველას, ვინც კი კეთილი განზრახვით მმარ-თავს რომელსამე წარმოდგენასა ანუ საღამოს, ამ შემთხვევაში მიჰბადონ ამ მაგალითს.

ხშირად გავიგონია და გაზეთშიაც წაგვიკითხავს, რომ ქართული წარ-მოდგენები იყოფო, ფულები შემო-დიოდნო და არ ეციოთ—სად წაეიდა, ვის ანუ რას მოახმარეს მოთავეებმა ეს ქულებიო, რატომ ანგარიშს არ აცხადებენო და სხვა?

ზოგიერთები დარწმუნებულნი რიან, რომ, თუმცა მოთავეები აცხ-დებდნენ, რომ წარმოდგენა ამა და ამ კეთილი და სასარგებლო საქმის დასახმარებლად არისო, მაგრამ შე-მოსული ფული კი ნამდვილ იმ სა-ქმეს არ მოხმარებია და თავის და-ნიშნულება ვერ აუხსრულებია. სხვე-ბისაგან კიდევ იმაზე უარესი ეჭვი გავიგონია...

იქნება ამ ხმებს სიმართლე არ ჰქონდეს; მაგრამ საფუძველი კი ის აქვს, რომ, რადგან ანგარიში არ ცხადდება, მართლაც კაცმა არ იცის—სად მიდის შემოსული ფულები.

მხოლოდ ამ გვარი ხმების მოსას-პობელად, ებეჯდავ ჩვენ ზემოთხე-ნებულ სალიტერატურო საღამოს ანგარიშსა:

ქასსირის პეტროვსკისაგან წარმო-დგენილი ანგარიშიდამ სჩანს, რომ

ამ საღამოს სულ ორას ორმოცდა-თოთხმეტი (254) მანეთისა და ხუ-თი შაურის ბილეთი გაყიდულა.

ამ ფულიდამ, პირობისა დაგვარად, თოთხმეტი თუმანი თეატრის ანტრეპრენიორს მიეცა ზალისა, ორ-კესტრისა და სხვა ყველა ხარჯისა-თვის. ამას გარდა ცხრამეტი მანე-თი აფიშების დაბეჭდვაში დაიხარჯა.

მაშასადამე სულ დახარჯუ-ლა—თოთხმეტი თუმანი და ცხრამეტი.

ხარჯს გარეთ დარჩა ცხრა თუ-მანი ნახევარი და ხუთი შა-ური, რომლიდამაც ხუთი თუ-მანი, მოთავეების გადაწყვეტილე-ბით, მიეცა უფ. ი. ივანოვს ერთი აქაური საქალეზო უფასო შკოლის სასარგებლოდ. დანარჩენი ოთხ-თუმანი ნახევარი (45) და ხუ-თი შაური გადადებულია ქართუ-ლი სცენის სასარგებლოდ და რა-დესაც ამ მანეთამდი შესრულდება, ერთ-ერთ ბანკში უნდა შეიტანოს.

შველა ამ შემოსავლისა და ხარ-ჯის დოკუმენტები „დროების“ რე-დაქციაშია და მსურველს შეუძლიან იმათ სინამდვილეში დარწმუნდეს.

საღამოს გამგებელი ს. მესხი.

დღიური

როგორც მოგეხსენებათ ეს კვი-რა იაფობის კვირაა ჩვენს ქალაქ-ში. ბავილილი დღესასწაულების შემ-დეგ დარჩენილი საქონელი ახლა იყი-დება. მართი საშინელი მოძრაობაა ქალებისა ქარვასლებში და დუქნებ-ში. მაცხარებულნი ვაჭრობა, ქალების ფაცაფუცი... აბა რაც დავარდნილი, დამპალი საქონელი აქვთ ქალაქის ვაჭრებს ახლა გაასადებენ; მაკარიაში ეშურებიან წასვლას, ფულები საქ-როა...

ქ.ხეთიდან მოგვივიდა ამბავი, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ზე-მო-მხარში სეტყვა ყოფილა; მაგრამ რადგანაც ჯერ აღრეა, ამის გამო, როგორც გვწერენ, ვაზისთვის მაგ-დენი ვერა დაუკლია რა.

ამას წინათ ჩვენ როგორც გავგონილი ხმა, ისე ვაცნობთ მკით-ხველებს ამბავი ბაქოსა და ჯუღუფის რკინის გზის თაობაზე. ახლა კი ძაე-კაზში“ დაბეჭდილის შენიშნვიდამ ეტყობულობთ, რომ მისს იმპერა-ტორებით უმაღლესობას ძაეკასის ნა-მესტნიკს ხელმწიფე იმპერატორისა-გან ტელეგრაფმა მოსვლია, რომელ-შიაც მისი იმპერატორების უდიდე-სობა აცნობებს, რომ აპრილის 18-ს

უმაღლესად დამტკიცდა მთელისიდან ბაქომდი რკინის გზის გაყენა და ამას გარდა სპარსეთის სამხლრამდი გამოკვლევის მოხდენა რკინის გზის გასაყენად.

„მთელისის მოამბეში“ დაბე-ჭდილია სიღნაღის უეზდის თავად-აზ-ნაურთა წინამძღოლის თ. ზაქარია ანდრონიკაშვილის წიგნი, რომლი-დამაც ეტყობულობთ, რომ ის ქარ-თული წარმოდგენა და ბალი, რომ-ელიც ამას წინათ იმის თაოსნობით გაიმართა, დანიშნული ყოფილა მე-ლაგის წმ. ნინოს ზაფეფენის იმ და-რიბი თავად-აზნაურების ქალებისათ-ვის, რომელნიც დათბოენილი უნდა ყოფილიყენენ ამ სასწაულეებლიდგან, რადგანაც თავის დროზე სწავლისა-თვის ფულები ვერ შეეტანათ. ამავე წიგნიდამ ეტყობულობთ, რომ წარ-მოდგენიდანა და ბალიდამ შემო-სულა სულ, ხარჯს გარდა, 1452 მანეთი, რომელიც უკვე გაუგზავნი-ათ მთელისის ზომოხსენებული სას-წაულეებლის სამმართველოში.

ზამგებელი კომიტეტი მთე-ლისის კეთილ-მომქმედი საზოგადო-ებისა აცხადებს, რომ ამ საზოგადო-ების უფასო შკოლებში 2 მისილამ დაწყება ეგზამენები და გაგრძელ-დება ვიდრე 12 მისამდი. 14-ს იქ-ნება საზოგადო აქტი ძაეკაზის მუ-ზიკალური საზოგადოების ზალაში, რომელზედაც დასწრებას როგორც საზოგადოების წევრებს, აგრეთვე მა-გირდების ყველა მშობლებსა, ნათე-საეებსა და ავეკუმებსა სთხოვენ.

„დროების“ კორექსიონდენცია

პროვინციალური წერილები წერილი მეორე, 18 აპრილი

ქართლის უეზდის ქალაქი.—ქუჩები და მისი სისუფთავე.—ქალაქის განა-თება.—ძაღვები—ყარაულები.—შანდლებით კრივი.—ორი მამლის დუელში გამოთხოვნა.—ზოგიერთი წრეს გადასული ქალები და აფიცრები.—რო-ტონდას პოეზია ამათზედ.


ქუჩებში, როგორც წინა წერილ-ში ვსთქვი, რასაკვირველია, ძრიელ ბნელა. მართი მიზეზი, სხვათა შორის, თუ შეიძლება ასრე ვსთქვათ, გარე-განი ქურდობისა არის ეს სიბნელე, ქურდობისა, რომელიც ასრე საოც-რად გავრცელებულია დღეს ამ ქა-ლაქში, რომ ქურდების დაჭერას ვერ ასდიან. მოგეხსენებათ ახდაზა: ქურდს რა უნდა და ღამე ბნელიო. ამისთა-ნა ქალაქში, სადაც ქუჩებში ძრიელ ბნელა, სახლების და მალაზიების არ-ხინად მტვრევა, დუქან-დუქან სია-

რული გასაკვირველი არ არის. ბნე-ლაში გამეღელის ცემა-ტყევა, გა-მოთაშეცადელიო. რასაკვირველია ნათელი ღამეც ვერ დაიჭერს ქურ-დობაში გავარჯიშებულს, მიყენე-ბულს ცხოვრების გარყენილებისაგან ამგვარ ბოროტ საქმეზედ. მაგრამ მაინც ბნელი ღამე უნდა ქურდსა. მაგრამ ისრე, მგონი, ქურდები არ აწუხებენ ქალაქის საზოგადოებას, როგორც ამ ცოტა ხანებში ძაღვე-ბმა შეაწუხეს...

საშინლად უყვართ ზოგიერთ ავი ძაღლის ყოლა. ღამით რამ-დენა თავ-მამწონედ მიმაეალოს მო-რთულ-მოკაზმულს ვაგზალისაკენ შეუსიხლიანეს გაზები, ტანისამოსი შემოახიეს და სახლში მიაქციეს; მაგ-ერთი საწყალი მთავარი მიდიოდა თურმე მთელისში მღვდელობის სა-ძიებლად. მკნენ ქუჩაში ეს სასტიკი ძაღვები, ქურდი ეგონათ დანაფო-რა შემოახიეს. მაქართაგანი მიდიოდა მუთისის; შეხედნენ და შემოახიეს ტანისამოსი. ალბათ გაუგეს, რომ იმ ფიქრით იქნება მიდიოდა: დაატ-ყუყოს ხალხი და მაგიერი ეხლაე გადაუ-ხადეს... არ ვაგებამდი ამათზე ლაპა-რაკს, მაგრამ ამ ძაღვებისაგან მიმა-ვალების შევიწროებამ თითქმის სა-ზოგადო ხასიათი მიიღო: ამაზედ ლაპარაკობდა ქალაქი და სხიოდნენ პოლიციაში. „საკვირველიაო, ზოგი-ერთნი ამბობდნენ, რაღა ახლა დაი-წყეს ამათაც ქუჩების ყარაულობა, როდესაც ჯარის მისვლის გამო ღამე ყარაულები უხეად დადიან ქალა-ქის ქუჩებშიდო.“

ამ ქალაქში არსებობს კეთილ-შობილთ წრე-კლუბი. მოგეხსენებათ, —მე რაღა ვაგვარელო—უფ. მესხს საკმაოდ გარკვეული ჰქონდა ამას წინად „დროებაში“ კლუბების მნიშ-ენელობა, —რა მნიშენელობა, მიმარ-თულება და საზოგადო სასიათი ჰქონ-დათ უწინ კლუბებს, ყაენახნებს, და აქვთ ეხლაც დასაფლეთ მეროპაში, მაგ. სატრანგეთში. ეს ჩვენი კლუბი სრულებითაც არა ჰგავს იმათ, კოჭიც არ უგავს.—

აქ თუმცა კეთილ-აზროვანი წე-ფრნი არიან, განათლება მიღებულე-ბი, მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა არას აკეთებენ თურმე, მაგ. არ არის ქარ-თული, ან სომხური წარმოდგენები, როგორც სხვა საქართველოს ქალა-ქებში და სოფლებშიაც; არ არის სჯა სხვა და სხვა საზოგადოებისათ-ვინ საკეთილო საქმეებზედ: შკო-ლაზედ,—ესთქვათ,—ქალაქის შინა-გან ცხოვრების გაუხჯობისობაზედ და სხ. თუმცა, როგორც ზევით ვსთქვი, ეს საზოგადოება არის შემ-



დგარი ფრიად სენილიანი და ქვე-
ლის საქმის მიმდევარი კერძო ცხო-
ვრებაში პირებისაგან, მაგრამ ამათ-
შეიკვი ურევია წრეს გასულვები,
რომლებიც სიტყვით ჩხუბში ატარე-
ბენ დროს და ხან სიტყვითი ჩხუბი
შანდლის ჩხუბზედ შეიცვლება ხოლ-
მე. ამ კლუბში მომეტებული ნაწი-
ლი დროს გასატარებლად თამაშო-
ბენ თურმე ქალაქს, ბილიარდს და
ზოგი გაზეთ-ჟურნალებს კითხულობს.
ამას და გარდა ყოველ დამ ქა-
ლადის თამაშობა მოსწყინდება,
გულს უღრენს კაცს. მს წარმო-
სდგება ერთფერობისაგან. მუხში
რომ გაივლით აქა-იქ მოპკრამთ
ყურს ამგვარ ფრაზას: წუხელი კრუ-
ჟოკში რამდენი ჩააძერ თუ ჩააძრეს?
— ჩააძერ კვირტიში ბარე ცხრა
მანეთი და წაგებასაც შიგ გამოველი.
სერი იყო და: მამივიდა ხუთიანი,
დავიძახე რესტი, ხუთიანს სურათი
გამოჰყვა და უცბად ორმოცი ჩავა-
ძერ. „და სხვა ამგვარები...“ ჩააძერ
და ჩააძრეს „არიან ტერმინები აქა-
ური ქალაქის მოთამაშეებისა. ამი-
თი შევიძლიანთ იცნოთ, რომ ის
კრუჟოკის წვერია. შე ასე გავიგე,
თორემ მგზავრმა რა იცოდა.—

ამ კლუბში, გარდმოცემთ ნამ-
დელი ფაქტს, — (რადგან ზევით შან-
დლით კრეზზე ვსთქვი) ქალაქ-
დის თამაშობაში ორი ახალგა-
ზდა: აფიკარი და მოქალაქე—
შეხირებულიყვენ ანგარიშზედ. მო-
ქალაქე ცოტა არითმეტიკაზედ
ქვეითათ, ე. ი. კოჭლად ყოფილა,
ვერა გაუგიარა ანგარიშისა. აფიკარს
კოლოდა ქალაქისა სტოლზედ და-
ენეთქებინა. მითი ქალაქი მოქა-
ლაქს მოხვედრიყო. ამის გამო სტე-
რებიყო მოკიდებულს შანდალს და
ესროლა ერთი, მეორე. მორთავ მო-
ერტყმია. ამგვარად გაჩენილიყო შა-
ნდლით ომი ამ კლუბში.

დღეს კიდევ სურამში ერთმა ნა-
ცნობმა მითხრა საკვირველი ისტო-
რია. საკვირველია იმითი, რომ
პროვინციის ქალაქში, უხვირო პი-
რთაგან, უხვირო შემთხვევით მო-
მხდარა, საქმე აი რაში მდგომარეობს:
ორი მამალი წაკინკლავებულან და
ერთმანეთი გამოუთხოვნით დუ ელ-
ში (მამლები და დუელი) წერილით
ხუთ ნაბიჯზედარ რევილევრის სრო-
ლით. ბაგაცნოთ ეს მამლები: ერთი
გახლავსთ თურმე ხნიერი, როგორც
გარდმომცეს, მამლებში ნომარი, სა-
შინელი ოხუნჯი და მეტის-მეტი
მამლებთან კინკლაობით ქაჩორი
გამლოტებია. მეორე, როგორც ამა-
ზედაც გადმომცეს, პეპლაობით და-
გვალული, დაგრეხილ-დაბრეცილი.
საკვირველია, მთერალებს გამოუთ-
ხოვნით ერთმანეთი და ფხიზლები
დამალულან. მს ოხერი ბახუსი რას
არ აქნევენებს კაცს: კოჭლი და ქა-
ჩალი მამლებიც დუელში გაიყვნა
კინაღამ!?

მგზავრი ძიხი

დ. ხანი, აპრილის 21-ს.

მადლობას შევსწირავთ წრევენ-

დელს წელს, რომ სასიამოვნო ტა-
როსებით მიდის.

პაპა შოაწია გაზაფხულმა, მივეგე-
ბით ერთობის ხელით. დაუღესოთ
პირი წალღ-სახნის, ამოუგდოთ ძი-
რი სასარგებლო მცენარის მანებელს
ღვარძლს, მოეწაღდოთ ეკალ-მა-
ყვალი, გაეწმინდოთ სახნავ-სათესი,
და მაშინ ენახოთ — თუ როგორ მო-
სავალს მოვესწროთ.

ასე, ერთობის ხელი ღონიერი!
მისგან დაშენდება სოფელი, ამაღლ-
დება ნიჭი და სხე...
აი, ერთობის ხელმა როგორ და-
შენა ჩვენი პატარა დაბა, როგორ
მალე და ადვილად ააგო მან ორი
ლამაზი შენობა, რომლის იმედი გვი-
ქადის მომავალის ბედნიერის ბედის-
წერას.

მითი ამათგანი, უფასო შკოლა,
თუმცა ჯერ სრულად არ არის მო-
თავებული, მაგრამ, იმედი, ამ მოკ-
ლეს დროში ისიც მალე გათავდეს.
ამ პირველ დასაწყისმა აღძრა საზო-
გადოების სურვილი სწავლაზედ, მის
გავრცელებასა და გაუმჯობესობაზედ.
ახლაც ეძებენ წყაროს, რომ რო-
გორმე საკუთარის შემოსავლიდან
ორ-კლასიანი შკოლა ოთხ-კლასიან
ქალაქის სასწავლებლად გარდააქე-
თონ.

ხშირად გვითქვამს, რომ ხონში
შკოლა სასწორისა და დაკლული პი-
რუტყვის ბაჟისაგან არსებობს 1870
წლიდან. ამას გარდა 1872-ში ჩვენი
მაზრის უფროსის წინამოადგილემ,
დაგვიპირდა შუამდგომლობა უმა-
ღლეს მთავრობასთან ხონის ქა-
ლაქათ შერიცხვისათვის და თან
იმ დღიდანვე დააწესა ქალაქის
გამშენიერებისა და ბულვარის გასა-
კეთებლად ცოცხალი პირუტყვის
ბაჟი და ჰქედუქნებზედ სიმართლის
ვაჭრობის გარდასახადი, რომელზე-
დაც მხიარულებით თანხმობა განუ-
ცხადეთ.

იმ დღიდან, გარდა ორ-კლასიან
შკოლისათვის ნაჩვენების შემო-
სავლისა, ყოველ წლობით შამოდის
ქალაქის სასარგებლოდ 2000 მანე-
თამდის; საუბედუროდ ჩვენდა ჩვენი
მოლოდინი ქალაქათ დაწესებულ უა-
რის ყოფით მოგვეგება, ამან კიდევ
თქვენი ჭირი წაიღოს: წაგვართვეს ის
რაც არ გვქონდა და რაც დიდად არ
გვარგოდა. რათ გინდა იგი წოდება,
თუ არ შემოაქვს მოგება? მაგრამ საშ-
წუხარო ის არის, რომ იმ შემოსავლი-
საგან, რომელსაც ჩვენი დაბის სასარ-
გებლოს უწოდებენ, ჩვენ ქალაქს ჯერ
ერთი ცალი ფულიც არ მოსცხებია.

წელს კეთილ მოქმედი პირების
თაოსნობით ორი თხოვნა მზათ არის
საზოგადოებისაგან მისართმევთ: ერთი
მუთაისის ლუბერნატორთან და
მეორე ძაყკასიის სამასწავლებლო მა-
ზრის მზრუნველთან, რომლითაც
ეთხოვლობთ ორ-კლასიანი შკოლა
ოთხ-კლასიან ქალაქის სასწავლებლად
გარდაკეთონ იმ შემოთქმულის შე-
მოსავლებისაგან, რომელსაც ჩვენი
სახელი ეწოდება და სხვისი სახრავი,
2000 მან. და 1200 მან., რომელიც
ჩვენ შკოლას ეძღვეა.

თუმცა ოთხ-კლასიან ქალაქის სას-
წავლებელს ყოველ წლობით 4500
მ. უნდება და ჩვენი ნაჩვენები შე-
მოსავალი 3200 მანეთის მეტი არ
არის, მაგრამ დანაკლისს ვიანგა-
რისებთ მოწაფების თავზედ; ვგრე-
თვე სასწავლებლის სახლსაც შევა-
კეთებთ იმდენათ, რამდენათაც საჭირო
იქნება ახალი შკოლისათვის..

ხონელი შარაშიძე

რუსეთი

★ ნოვოჩისკასკიდან იწერებიან,
რომ ამ ქალაქს თოთხმეტი კაცისა-
გან შემდგარი დეპუტაცია გაუგზავ-
ნია პეტერბურღს იმისთვის, რომ
უმაღლესს მთავრობას სთხოვონ, ნო-
ვოჩისკასკში ქალაქის ახალი წეს-
დება შემოიღონ.

★ აპრილის 16-ს პეტერბურღში შე-
კრებილან იმ საზოგადოების წევრნი,
რომელსაც მიზნათ აქვს იქაურს და-
რიბებს იაფი სადგომები გაუმართონ
და სხვა მხრივაც დაეხმარონ. საზო-
გადოებას სეკრეტარს წაუკითხავს ამ
კრებაზე ანგარიში, რომლიდანაც
სჩანს, რომ იმის ხარჯით პეტერბურღ-
ში ერთი უფასო საქალ-ვაყო შკოლაა
გამართული, რომელიც ძალიან კარ-
გათ მიდის. ამას გარდა ამ საზოგა-
დოების წევრთა, (რომელთ რიცხვში
მომეტებული ნაწილი ქალები არიან)
რამდენიმე სახლი გაუმართათ, სადაც
ღარიბი მუშები და საზოგადოთ ქა-
ლაქის მცხოვრებლები ძალიან იაფ
ფასად ქირაობენ სადგომებს.

★ პიევის სამოსამართლო პალა-
ტაში განიხილეს ის საქმე, რომელიც
რკინის გზის ორი მატარებელის შე-
ტაკების თაობაზე ატყდა. პალატა
საქმის გარემოებიდან დარწმუნდა,
რომ ეს მარცხი რკინის გზის ორი
მოსამსახურის ბრალი ყოფილა და
გადაუწყებია იმათ ათი წლით კა-
ტორაში გაგზავნა.

★ მითი რუსული გაზეთის სიტყ-
ვეთ, პეტერბურღში სდგება ექიმე-
ბის საზოგადოება, რომელიც რო-
გორც მუქთად წმლობას, აგრეთვე
სხვა ყოველ-გვარს შემწეობის მიცე-
მას უპირებს იმ ღარიბებსა, რომელ-
თაც იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ,
ავათმყოფობის დროს, ექიმს დაე-
კითხონ.

★ „თერგის უწყებებში“ იწერე-
ბიან, რომ მაზდოკის ქალაქის სა-
ზოგადოებამ თერგის მაზრის უფროსს
თხოვნა მისცაო, რომ ჩვენს ქალაქ-
ში ახალი წესდების შემოღება გვი-
შუამდგომლიყო.

უცხო ქვეყნები

საშრანგეთი. მითს ინგლისურს
გაზეთში დაბეჭდილია პარიჟიდან გა-
გზავნილი კორრესპონდენტისა, რომ
მლის ავტორი, სხვათა შორის, ამ-
ბობს, რომ პროვინციებიდან და-
ბრუნებული ყველა დეპუტატები სა-

ზოგადოდ გვარწმუნებენო, რომ სო-
ფლის ხალხს ძალიან არ მოსწონს
ახლანდელი ნაციონალური პროგნო-
ზა და იმედი აქვსთ, რომ ეს პროგნო-
ტიკის დამლევადი უეჭველად
დაიშლება.

სხვა ფრანკულული გაზეთები კი
დარწმუნებით ამბობენ, რომ ახლან-
დელი პალატა აგვისტოში მოსპობს
თავის სხდომებსაო, სექტემბერში სე-
ნატის წევრთა ამორჩევა იქნებაო
და საზოგადო ამორჩევა, ე. ი. ახა-
ლი პალატის დეპუტატების კენჭის
ყრა ნოემბრის დამლევადი უნდა გა-
თავდესო.

თუმცა ოფიციალურად არაფერი
არ არის ამის თაობაზე გამოცხადე-
ბული; მაგრამ ეს ხმები რომ მარ-
თალია, ამაში ის გარემოებაც გვარ-
წმუნებს, რომ სხვა და სხვა პარტიის
მოთავე კაცები ეხლავე შეუდგნენ
ამორჩევითს ავტოციას და კენჭის
ყრისთვის ამზადებენ ხალხს.

ამბობენ, მარცხენა მხრის ყველა
დეპუტატებს განზრახვა აქვთო, რომ
მომავალი სენატის პრეზიდენტათ
თიერი ამოარჩიონო. მრღვეანისტები
დასაზოგადოთ კონსერვატორები კი
ამ საპატიო ადგილს მძალის გერ-
ცოგისთვის ამზადებენ; ფრთხილად
უნდათ საქმის წაყვანა: ჯერ სენატის
პრეზიდენტი, მერე რესპუბლიკის
პრეზიდენტი და შემდგომ, ვინ იცის,
იქნება საფრანგეთმა რესპუბლიკის
მაგიერ კონსტიტუციური მონარხია
აარჩიოსო და იმ დროსთვის კარალიც
მზათ გვეყოლებო.

ინგლისი. იქნება მკითხველს ახ-
სოვდეს, რომ იმ გამოჩენილს ტიხ-
ბორნის პროცესში, რომელმაც დი-
დი, დიდ-ძალი ყვირილი და არე-
ულობაც აღძრა ინგლისში, ტიხბორ-
ნის დამცველად იყო ერთი მყვირა-
ლა ადვოკატი და თავხედი ჟურნა-
ლისტი — ძინილი. მს კაცი შემდეგ
ხალხმა ქვემო პალატის წევრად ამო-
ირჩია. მას აქეთ ის მუდამ ჰპირდე-
ბოდა თავის გაზეთში ტიხბორნის თა-
ნამგრძნობელებს, რომ პალატაში წი-
ნადადებას შევიტანო, რომ იმან
ხელ-ახლად გამოძიება მოახდინოსო,
ტიხბორნის საქმის თაობაზე, და მია-
ნიჭონ იმას ის უფლებანი, რომელ-
საც ის ეძიებმა და რომელიც სამსა-
ჯულომ კანონიერად არ აღიარაო.
მს წინადადება, როგორც იყო, ახლა
შეუტანია უფ. ძინილის; მაგრამ 434
ხმაში მხოლოდ ერთი, ისიც იმის სა-
კუთარი ხმა, ყოფილა თანახმა, რომ
ამ საქმის თაობაზე თვითონ პარლა-
მენტმა ხელ-ახლავ დანიშნოს გამო-
ძიება, დანარჩენი 433 წევრი პარლა-
მენტისა კი ამ წინადადების წინააღ-
მდეგნი ყოფილან.

მსპანი. მმართველობის ჯარებს
კიდევ რამდენსამე ალაგას დაუმარ-
ცხებიათ ღონ-ძარლოსის მომხრეები
და ბევრი ტყვეებიც წაუყვანიათ. იწე-
რებიან, რომ მმართველობა ემზადე-
ბოა, რომ რაც ძალა და ღონე აქვს
მიაწვენ კარლისტებს და საბოლოოთ
დაამარცხოანო.



იტალია. რამდენსავე იტალიელ ეპისკოპოსს და სხვა სამღვდლო პირებს პროტესტი (წინააღმდეგობა) გამოუცხადებიათ პარლამენტში იმ კანონის მიღების თაობაზე. რომლითაც იტალიის ახალი სამხედრო კანონის ძალით, სამღვდლო წოდების პირებიც ექვემდებარებიან ამ კანონს და ვალდებული არიან იმსახურონ. მაგრამ პარლამენტს ამითის პროტესტისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ქრონიკა

სტატია XIII

დასკვნა საქართველოს საშუალო სასკოლოების ისტორიისა

როგორც ისტორიკოსი მახუშტი ამბობს თავის ლეონტიძეში 11 გვერდიდან ვიდრე 34 კაბადონამდე, მართებულს რა ჩვეულებაა ქრისტეს მოსვლამდე ჰქონდათ, იგივე ჩვეულება ჰქონდათ ქრისტეს მოსვლის შემდეგაც.

მაგრამ 1235 წლიდან დაწყებული 1462 წლამდე შეიცვალა ძველებური წესები და ჩვეულებები. მონგოლების საქართველოში ყოფნამ მართებულს შეუცვალა ზნე, ჩვეულება და სამსახურში ერთმანერთისთვის ძველებური მიმოკრძევა. მონგოლების საქართველოში შემოსვლამდე, როგორც ამბობს მახუშტი, სახმწიფო თათბირში და ნადიმობაში სკამებზე სხდომა იცოდნენ, მაგრამ მონგოლებმა იმათ ასწავლეს დაბლა ნოხთაზე და სხდომაში, ეკვლესიასა შინა მოუხდებოდა ქუდისა. ეკლესიაში მონგოლების პერიოდში მხოლოდ მაშინ მოიხდიდნენ ხალხმე ქუდს, როცა სახარებასა, სამოციქულოსა და საწინასწარმეტყველებას ჰკითხულობდნენ. აგრეთვე არ იხდიდნენ ქუდს, ვისაც გინდა რომსახლში სწევოდნენ, როგორც ვხლავიკცევიან ინგილოები და სხვა ქართველთა თემის მთიული ხალხები.

ეს ცვლილება ჩვეულებისა ხალხს იმ ენებას აძლევდა, რომ ის ჰკარგავდა პატივის ცემას თავის ხალხობის მამა-პაპის ჩვეულებისადმი. მართებულმა დაჰკარგა თავისი მამა-პაპის კეთილი ზნე და მიიღეს აღმოსავლეთის ხალხების ზნე. წინათ ქართველობაში ერთ ცოლობის ჩვეულება იყო, მაგრამ ამ პერიოდში მეფემ ღმირი მთავარდებულმა და სხვა მთავრებმა შეირთეს ორი და სამი ცოლი, გულ-გრილად დაუწყეს თავის მამაპაპის სარწმუნოებას, ჩვეულებებს და ზნეს ცქერა. მართობის სარგებლობა დაივიწყეს და როგორც წინათ იყო, ისრე აღარ უერთგულებდნენ მეფეებს და მრავალი მთავარი თავის თავის სარგებლობას უფრო ჰსცდილობდა, ვიდრე მთელის ერისას; ამისათვის იშვიათი არ იყო ხალხმე მთავრებისა და მეფეებს შორის განხეთქილება, ბრძოლა და ერთ-

მანერთის სამფლობელოების ახორება და მტაცებლობა, მეტადრე იმერეთში.

თქმა არ უნდა, რომ ამგვარი მიმოკრძევა და ხალხში ძველებური ერთობის და სიყვარულის დარღვევა მოახდინა ქართველების მუდამ მომგოლების ლაშქრობაში ყოფნამ. მაგრამ 1330 წელს, როცა მეფე ბიორგი ბრწყინვალემ შეაერთა მართლ-ძახეთი და იმერეთი თავის უფლებების ქვეშ, მაშინ, როგორც ამბობს იგივე მახუშტი ლეონტიძის ვნ კაბადონზე, კვალად აგო ძველსავე წესსა ზედა.

ბიორგიმ თუმცა ძველებური ქართველების ჩვეულებები, ზნე და წესები ცხოვრებაში აღადგინა. მაგრამ ვეღარ მოშალა ის სამხედრო წესი და თანამდებები, რომელნიც შემოვიდნენ მონგოლების დროს. ძველებური სპასალარი ახლა შეიცვალა ათაბაგობით. მონგოლების შემოსევამდე საქართველოში ჯარების უფროსი იყო სპასალარი, ახლა შეიქმნა ათაბაგი. პირველი ათაბაგი აყო სარგის ჯაყელი, რომელმაც ეს წოდება მიიღო 1036 წელს. თუმცა მეფეები ათაბაგს სპასალარის ხარისხით იცნობდნენ; მაგრამ ამას ის უფლებები არა ჰქონდა, რაც სპასალარს. სპასალარის თანამდებობა იყო თავჯდომარეობა სახმწიფო თათბირში და ბრძანება, როცა საჭიროება მოითხოვდა, რომ ქრისტიანებს თავის საბრძანებელში ჯარები შეეკრიბათ და გამოცხადებულ იყვნენ სალაშქროდ იმის წინაშე; მიეღო ქრისტიანებისგან ხალხში შეკრებილი სახმწიფო ხარჯი და გადაეცა სალთხუცესისათვის; ომის დროს მთელის საქართველოს ჯარებისთვის მთავრობა გაეწია, და ომის საქმეს ტრატეგიულად გაეწყობა და გამართა მტერთა ბრძოლა. ათაბაგებს კი ეს უფლება არა ჰქონდათ, ამისათვის რომ ისინი ხშირად აცხადებდნენ მეფის ურჩობას, ამასთანავე ჯაყელებმა ათაბაგობა ძალად მიითვისეს და სამკვიდროდ გაიხადეს, ასე რომ თუ მეფე ამ თანამდებობაში უარს ეტყობდა, ისინი მაშინვე შფოთსა და ბრძოლას სტეხდნენ, როგორც მაგ. 1465 წელს მოიქცა შერყვარე, რომელმაც შეიპყრო მეფე ბიორგი მე-VIII და არ განათავისუფლა, ვიდრე ათაბაგობა არ დაემტკიცა.

სპასალარობა რომ მოიშალა, ამისათვის შიშობა ამ დროს ის წესიცა, რომელიც ქართველებს ჰქონდათ შემოღებული წინა სიძლიერის საუკუნოებში. წინათ საქართველო განიყოფებოდა ოთხ სადროშოთ. მოწინავე ჯარს შეადგენდნენ მორიელნი, სინის-ჯვარელნი და ახალციხელნი; ამათ მიმყოფნი იყვნენ სრულიად მესხნი და ქლარჯეთელები; ამათ მარჯვნი მდიდოდნენ იმერეთისა და აფხაზეთის ჯარები, — მარცხენით — მახლებიც ინგილოები და ნუხის მაზრის ქართველები და აგრეთვე მეფის როქა და ქართლის ჯარები, რომელნიც მეფეს ეკუთვნოდ-

ნენ. ამ ჯარებს წინ მიუძღოდა შერყვარე ეპისკოპოსი ჯვარით და როცა გამობრუნდებოდნენ, მაშინაც ჯარებს ჩახთულად მოექცეოდა ხოლმე.

ჯარებს ყველას თავ-თავისი დროები ჰქონდათ. დროაზე იყო გამოხატული იმ წმინდანის სახე, რომელსაც რომელიმე ხეობა განსაკუთრებით თავყენსა სცემდა. მაგრამ პირველი სამეფო ღერბი დროა იყო წმინდა ბიორგი სახით. შირველესი დროა იყო მეფისა და იმას ერქვა: „სეფე დროა.“ ამას ომში, მხოლოდ მაშინ გამოიხატდნენ ხოლმე როცა ლაშქრობაში მეფეც ერია. წინააღმდეგ შემთხვევა იშვიათი იყო.

ეს წესები მონგოლების დროს თუმცა სრულიად არ მოიშალა, მაგრამ არც არაფერი დააკლდა. ამ დროს ყველა ხეობის ქრისტიანი გამოიწვევდა ჯარს და ისრე მოქმედებდა ომის დროს, როგორც თავისი ჰყუა უჭრიდა, მაგრამ კავშირს მემარჯვრებთან არ სწყევტდა და ომის დროს მუდამ სახეში ჰყენდა უმთავრესი ძალა ლაშქრისა.

ამათ საომარ იარაღებს შეადგენდნენ: ჯავშანი (რკინის პერანგი), სათვანი (შურდული), საბარკული (პატიკები რკინისა), პოლოტიკი (სამკერდე), მუზარადი (თავ-სახურავი ამწვეტებული), ხმალი, ხანჯალი, ლახტი, შუბი, ჩუგლუგი (ჩაქუჩი), კოლოტი და ისარი.

შესანიშნავია ამ პერიოდში აგრეთვე ისიცა, რომ ამ დროდღე ომი უფრო თავადებისა, აზნაურებისა, მსახურებისა და ვაჭრების ხელობა იყო; მაგრამ მონგოლებმა ხალხის აღწერა რომ მოახდინეს და გლეხებიც ჯარში გაიწვიეს, ამის შემდეგ ეს მუდამ ასრე იყო. ამას წინათ კი მუშა ხალხი მხოლოდ მაშინ ომობდა და გამოდიოდა ლაშქარში როცა საქართველოს მტერი შემოესვოდა.

საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შემდეგ 1462 წელს ეს წესები შეიცვალა.

ინგილო ჯანაშვილი

ნარკვი

ამას წინეთ შეერთებულ-შტატების პრეზიდენტის ბრანტის სიძეს უ. სარტორის და ლიმონის დერეჰტორს პოლონისას ერთმანეთში კრივი ჰქონდათ. პოლონისი ინგლისელია და მიუღეს ქვეყაში პირველი განთქმული მოკრივე; ამან 1867 სანაძლეო მოიგო 10,000 ფრანკი და მაშინ დაარქვეს რკინის კაცი. აი ამ რკინის კაცმა გამოიხიზა ლიმონის ზალაში კრივი უ. სარტორისი. — საბრძოლის რაღაც შემბრლებით დაეთანხმა მეგობრებს რჩევით, რაღაც უხვიროთ დაიწყო ხელთათმანების ჩაცმა და ჩარლს-პოლონისი მისი შემოხედვარე წინ-და წინვე დღესასწაულობდა გამარჯვებას, ჯერ რამდენიც კი მოუქნია მუშტი პოლონისმა, აღენი აიცილია სარტორისმა, მაგრამ ბოლოს უფერად დასტოვებო ცხვირ პირში ისე, რომ თვალეზი ვეღარ გაახილა და გაუხრბუსალებული

ტიქორასავით გააგორა პატივად. — შემდეგ კიდევ საზღვრ ჰქონდათ. — მათი საზღვრე სარტორისს უჯობნია. — თავის ძალისა კი რა მოგახსენო, თორემ მუშტი-კრივის რაც შეეხება აქ მომხანდებ თვლისში ისამერიკელები და ნახევენ თავთ სერის, ჩაუანჩისხატურებენ, იმედია.

მიქტორს ჰოუგო ბენსის კუნთულზედ აპირეს რამდენიმე ხნით წასვლას მხოლოდ იმ განზრახვით, რომ იქ უთორო მოსვენებით იცხოვროს და მოათავოს იმ ლექსების წერა, რომელიც ცალა წიგნათ გამოვა შემდეგის სათაურით: „შრანგები და ბერმანიელები.“

პარილის 19-ს ბოსტონში და ბიუროკის სხვა ქალაქებშიაც უდღესასწაულებით ასი წლის იუბილეი ლექსინგტონის ომისა. ამ დღეს ასი წელიწადი მესრულდა მას აქეთ, რაც ბიორგი შაშინგტონის ჯარმა ქალაქ ლექსინგტონთან დაამარცხა ინგლისელების ჯარი და მით გადაწყვიტა შეერთებული შტატების მემი.

მართს რუსულს ვაზეთში იწერებინ, რომ ხარკვის საპრობილეში ერთი ტრადიციული საქმე მომხდარა; ამ საპრობილეში კი ხანო ერთი სტუდენტი — ექიმი იყო თურმე რაღაც პოლიტიკური დანაშაულობისათვის დამწყვედული; ამ თვის დამდეგს ეს სტუდენტი კარებზე ჩამოღრჩობილი უნახავთ იმ ოთახში, რომელშიაც ის დამწყვედული იყო. შქიმებს გაუჭრიათ მეცდარი და შეუმოწმებიათ, რომ იმის ტენი ნორმალურს მდგომარეობა არ ყოფილა.

სამს მხნე ფრანკუსს, რომელნიც ხშირად დაფრინდნენ თურმე ჰერში ავროსტატიო, ნდომებით შეტუბა თუ რა გაგვინა აქვს აღამიანის აგებულებაზე მალა ცაში მყოფ ჰერს, ჩამჯდარან სამნივე ერთს აეროსტატში და აფრენილან. მეოთხედის საათის განმავალ ბაში ისეთს სიმაღლეზე აფრენილა აეროსტატი, რომ მაყურებლები ვეღარ ხედავდნენ თურმე. მხოლოდ მეორე დღეს შეუტყუათ, რომ როგორც 8 ვერსის სიმაღლეზე აფრენილან, იმწამსვე ორს იმათანს, რომელნიც უფრო ჯანაიანი იყვნენ და კარგი აგებულებისა, სისხლი წაფარდნით პირიდან და მომკვდარან; ერთი კი, რომელიც უფრო სუსტი იყო, გადარჩენილა. იმათ უწერიათ თავიანთი დაკვირება, რომელიც მალე დაიბეჭდება. მეცნიერები ამბობენ, რომ შეიდ ვერსი სიმაღლეზე ჰერში აღამიანს კიდევ შეუძლიან ცოტა ხანს გაძლებს და ამას იქით კი ვეღარა. ეს ორი მეცნიერებისათვის თავგამომეტებული კაცი დიდის ამბითა და პატივით დაუმარხავთ პატივში.

მართს ინგლისელს ისეთი საშუალება გემოუგონია, რომლის შემწეობითაც თავის დღეში ხე არ დაღებოდა. აღუღებულს სელოს ზეთში ცოტა დანაყული ნახშირი უნდა გაურრო თურმე და წაუსვა იმ სვეტს, რომელიც იქაში უნდა ჩაუსვა.

მეორე რუსის ქიმიკოსს ისეთი რაღაც საშუალება მოუნახამს, რომ როდესაც დაკლული პირტუვის ანუ ფრინელის ხორცს გადაახამს, თითქმის ორი თვის განმავლობაში ისე თურმე შეინახება, რომ სრულებით არ გაუშქდება.

განცხადებანი

ჭუთაისში ექიმმა გახუტომმა გამოიწერა ერთი ძვირფასი ჰაერის სასუნთქავი აპარატი ვალ-დებურლისა, რომელიც ძალიან შევლის ფილტვების და გულის ავთ-მყოფობას. ეს აპარატი მოქმედობს მხოლოდ ჰაერით. ბევრის გულისა და ფილტვების ავთმყოფობას, რომ-ლებსაც აქამდე არ შეიძლებოდა წამლებით არამც თუ სრულიათ მო-რჩენა, არც შემსუბუქება, ეს აპა-რატი ზოგიერთს მათგანს სულ არ-ჩენს და ბევრს შემსუბუქებას აძ-ლევს.

უფ. ბახუტაივი ახდევინებს ავთ-მყოფებს თითო ხმარებაში იმ აპა-რატისა—თითო მანეთს და შეუძლე-ბლები სარგებლობენ უფასოთ.

გუხვალტმარსა და კორრესპონ-დენტს, რომელსაც კარგი ვაჭრული განათლება მიუღია ჰსურს აძ-ლიოს გაკვეთილები ორ-კაცი გუხვალტმარისა (двоинная бухгалтерия) იტალიურის და ინგ-ლისურის მეტოდით—რუსულს და ნემეცურს ენაზე. ასწავლის ბანკე-ბის, კომისიონერის, ფაბრიკის და ფი-ნანსის ბუხვალტერიას. შეუძლია ად-გილიც დაიჭიროს საღმე.

უფრო დაწვრილებით ცნობების შეტყობა ამ საგანზე შეიძლება სა-კერავი მაშინების პანცერის მალაზი-აში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, დილის 10 საათიდან ეი-ღრე 12-მდე.

გილიოზრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და გამოვიდა გა-სასყიდათ „საშაფვილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრო-ბანი ბუნების მეცნიერებებიდან, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. მოგებაშვილისაგან.

3 (3) 5

სამი თვის ანგარიში ოქისის გამსახველ-შემანახველი ამხანაგობისა

1-ს იანვრიდან 1-ს აპრილამდის 1875 წელსა.

1-ს იანვარს 1875 წ. ანგარიში იყო: წვერებად ირიცხებოდნენ. . . 288 კაცი

- 1) საწილო ფული. . . 1582 მ. 60 კ.
 - 2) სასარგებლოდ შემო-ტანილი 40 „ —
 - 3) სესხები
 - ა) პირველ დაწყებითი 1500 „ —
 - ბ) შემდგომ აღებული 2110 „ —
 - 4) სათადარიგო თანხა. . . 3 „ 3 კ.
 - 5) წმინდა მოგება. . . 27 „ 30¹/₂ კ.
- ჯამი. . . 5265 მ. 43¹/₂ კ.

- 1) მასესხებული ახალი ვადა მიუცემელი . 4685 „ —
 - 2) ტფილისის საზოგა-დოებაში საურთი-ერთო ნდობისა. . . 155 „ 30
 - 3) ძასსაში ნაღდი ფული 392 „ 30
- ჯამი. . . 5232 მ. 60 კ.

1-ს იანვრიდან 1-ს აპრილამდის მომხდარა შემდეგი ვაჭრობა:

წვერებად ირიცხებიან. 352 კაცი *)

ა) შემოსავალი

- 1) საწილო ფული შე-მოვიდა 1174 მ. 60 კ.
 - 2) სარგებელი დაჭერი-ლი გასესხების დროს ახალი ვადა მიუცე-მელისა 176 მ. 44 კ.
 - 3) სარგებელი დაჭერი-ლი გასესხების დროს ახალი ვადა მიცემუ-ლისა. 7 მ. 20 კ.
 - 4) სესხი შემოვიდა ახა-ლი ვადა მიუცემელი 1895 მ. —
 - 5) ჯარიმა აღებული. 3 მ. 75 კ.
 - 6) ამხანაგობამ აიღო ვალი ტფილისის სა-ბანკო დაწესებათაგან და კერძო პირისაგან 2500 მ. —
- ჯამი. . . 5756 მ. 99 კ.

ბ) გასავალი

- 1) მასესხდა. 2934 მ. —

*) ამ რიცხვიდან გამოირიცხნენ 5 წვე-რი, ვადაზედ ვალის გადაუხდელობისათვის.

- 2) სარგებელი დაუბ-რუნდათ ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხებისა. 2 მ. 25 კ.
 - 3) შალეები გადახდა ამხანაგობამ. 2500 მ. —
 - 4) სარგებელი მიცემუ-ლი ამხანაგობისაგან ნასესხებზედ 71 მ. 77 კ.
 - 5) სამართველოსხარჯი 89 მ. 54¹/₂
- ჯამი. . . 5597 მ. 56¹/₂
- ძასსაში არის ნაღდი ფულათ. 159 მ. 42¹/₂
- ერთიანი ჯამი. . . 5756 მ. 99 კ
- სამართ. გამგენი | მ. ძალაგობი
| მ. ოსაქობი

რედამციისაგან
სამხლარ გარეთის სტრუქტურა
ლებისათვის ეაცხადებთ, რომ გაზე-თი „დროება“ გაზევნით ღირს, წე-ლიწადში:
საფრანგეთში და ოსმალეთში — 13 მან.
შვეიცარიაში და ბერმანიაში — 12 მან.
ვაცხადებთ ამას იმიტომ, რომ ზოგ-ნი ფორტის ფულს არ ანგარიშობენ და ჰგონიანთ, რომ გაზეთი სამხლარ გარეთაც 8 მანეთად ღირს.

თფილისის სავაჭრო

განკი

აცხადებს, რომ ამ 1875 წლის 21 აპრილიდან, ვიდრე ცვლილების მოხდენამდე, ასის თავზე (%) შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგე-ბელისა:

იღებს

- 1) სესხზედ იმ სარგებლიანი (%/100) ძალაღების გირაოთ.
 - ა) რომელთაც სახელმწიფო ბანკის ბანყოფილება იღებს. . . 6¹/₂%
 - ბ) რომელთაც სახელმწიფო ბანკის ბანყოფილება არ იღებს. 7¹/₂%
- 2) სავაჭრო სხვად მიზარებულს ფულში (текущий счет).
 - ა) სარგებლიანი ქალაქდებით უზრუნველს-ყოფილს. 7%
 - ბ) ვიქსილებით უზრუნველ-ყოფილს. 8%
 - გ) იმ სოლო-ვექსილების დაცვლაში, რომელნიც სარგებლია-ნი ქალაქდებით უზრუნველ-ყოფილნი არიან. 7%

3) ვექსილების დაცვლაში (учетъ векселей)

- ა) სამი თვით. 7¹/₂%
- ბ) შექვსი თვით. 7¹/₂%
- გ) ცხრა თვით. 8¹/₂%

4) სამონლის გირაოში

- ა) იმ საქონელში, რომელიც გზაშია, ან თფილისში მოდის ან აქედამ გაგზავნილია. 9%
- ბ) იმ დოკუმენტების განაღდებაში, რომელნიც ვაჭრულ ანგა-რიშებზე არიან დაფუძნებულნი. 8¹/₂%
- გ) იმ საქონელზე, რომელიც თფილისში აწყევია. 7¹/₂%

იხდის

- 1) ხელად მიზარებულ ფულში 5%
- 2) მოთხოვნამდის მიზარებულში. 4%
- 3) შექვსი თვით. 5%
- 4) წლიდან ორ წლამდის 6%
- 5) ორი წლის მომეტებულში ბანკის მმართველობასთან მო-რიგებით.

*) ამას გარდა კამისიის ფული—¹/₈ %—დამ 1 %—მდე

რკ. ზნა	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საქონლის გეგმები	ფოფა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	11 18	8			ა) შოთიდან:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 23 აპრილს.		თფილისი, 26 აპრილს.	
მცხეთა	18 87	10			ბ) სოხუმიდან:	სამხლარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 20
ზორი	91 39	1 43	2 68	3 38	შოთს — სამშაბათს, ღამით.	— უფელ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 ¹ / ₂ პენსი.	84	ჭერი ფული.	60
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	მდესას — კვირას, გათენებისას.	ოთხშ., ოსურგეთს — პარასკ და	პარიზში 348 სანტიმი.	89	ბაზა პრევენისა, ფუთი .	4 60
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	შოთიდან: I II III	შ.ბ. ქაბეთს — სამშ. და შაბ.	მსკონტი(სარგებლისფასი)	5	— ამერიკისა, ფუთი. .	6 65
ჭვირილა	6 49		5 81	3 23	სოხუმიდან: 4 3 1	ბ) შუთაისი დამ:	ბანკის ბილეთი 5%	98 75	ბაჟანტილი ბაზა ფთ.	8
ჭუთაისი	7 55		6 75	3 75	ჭერჩამდი. 20 50 15 50 5	თფილისისა და შოთისაკენ — უ-	მოგებიანი(პირველისესხი)	205 25	მატული თუშური ფთ.	6
სამტრედია	9 2		7 73	4 29	ტაგანროგ. 34 27 8 60	ველ დღე, კვირას გარდა. ოსურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	197 75	— მარკამისა ფთ. .	4 50
ახ.-სენაკი	10		8 57	4 76	მდესსამდი. 38 30 9 60	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	ბარაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	11		9 75	5 42		— ოთხშაბ.	თფილ. საზნ. ბანკისა.		ჭონი, ფუთი.	4 40
შოთი	7 38					გ) გორი დამ.	ხერსონის ბანკის (5 ¹ / ₂)	88 75	ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი	9 11		1 18	66		შოველგან უფელ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)	86 50	სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია	10 12		2 61	114		გარდა.	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
ჭუთაისი	11 17		3 41	169		დ) შოთი დამ:	ოღესის სავაჭრო ბანკის.	224 50	— ცხვრისა, ლიტრა . .	70
ჭვირილა	12 38		3 98	2 21		შოველგან — უფელ დღე, კვი-	შოთი. თფილ. რკინ. გზის	133	სპირტი, ვედრო.	7
ბეჟათუბანი	3 27	ლაშე	5 33	2 96		რას გარდა.	შეივზღვის ცეცხ. გეგმების	560	შაქარი, კარგი ფუთი .	8 50
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24			ქავკასისა და შერკურის .	168	— ფხვნილი ფუთი . .	6 90
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9			პირგ. საზღვევ. საზოგ.	665	შავა გრგვალი ფუთი .	19
მცხეთა	9 52		9 85	4			პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6 49
თფილისი	10 49	8	2 9 75	5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	ოქრო ¹ / ₂ იმპერიალი. .	5 93